

ქ. _____

01-04-2021 წ.

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

„აქციის“ დასახელება : "ახალი ლოკაციების აქცია"

აქციის პირობები :

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), ოპტიკური ტექნოლოგიის დაფარვის ზონაში მყოფ ყველა რეგიონში (გარდა თბილისისა), ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტის ანდა ოპტიკური ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურებ(ებ)ის კომბინაციის მიღების მსურველი პირებისთვის, ინტერნეტ პაკეტზე "სტარტ +" და ორმაგი შეთავაზების "სტარტ +" და "კომფორტი NEW" კომბინაციის პაკეტის ყოველთვიურ ღირებულებაზე გავრცელდება ფასდაკლება (აქციის ტარიფები მოცემულია N1 ცხრილში);
2. აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება: N2 ცხრილით განსაზღვრულ რეგიონებში 2021 წლის 22 მარტიდან - 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო ოპტიკური ტექნოლოგიის დაფარვის ზონაში მყოფ ყველა სხვა რეგიონში (გარდა თბილისისა) - 2021 წლის 2 აპრილიდან - 2021 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.
3. აქციის პირობით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება 2021 წლის 1 ნოემბრის ჩათვლით.
4. აქციის მოქმედების პერიოდი განისაზღვრება აბონენტის აქციაში ჩართვიდან 3 (სამი) წლის ვადით.
5. აქცია ვრცელდება შემდეგ ფიზიკურ პირებზე:
 - 5.1. ცალკე მდგომი ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების მიღების მსურველი პირები, რომლებიც ერთვებიან ინტერნეტ პაკეტზე "სტარტ +"; ასევე სილქფონით მოსარგებლე აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტს (პაკეტს "სტარტ +");
 - 5.2. ოპტიკური ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებების მიღების მსურველი პირები, რომლებიც ერთვებიან ორმაგ შეთავაზებაში და რეგისტრირდებიან კომბინაციაზე "სტარტ +" და "კომფორტიNEW".
6. აქციით მოსარგებლე აბონენტებისთვის არ იზღუდება აქციის მოქმედების პერიოდში "სილქფონის" დამატების/გაუქმების შესაძლებლობა;
7. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების, ასევე ორმაგ შეთავაზებაში ჩართული მომსახურებ(ებ)ის (ერთ-ერთის ან ორივე) დროებით შეჩერების შესაძლებლობა (დროებით შეჩერებისას მოქმედებს სტანდარტული პირობები). დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და დროებით შეჩერებული მომსახურებ(ებ)ის ჩართვისას, მოხდება აქციის განახლება თავდაპირველი ვადის ფარგლებში (შესაბამისი ვადისთვის განკუთვნილი ტარიფებით);
8. 5.1. ქვეპუნქტში მითითებული აბონენტებისათვის, ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების გაუქმება, გამოიწვევს აქციის გაუქმებას;
9. 5.2. ქვეპუნქტში მითითებული აბონენტებისათვის, ორმაგ შეთავაზებაში შემავალი ერთ-ერთი ან ორივე (ოპტიკური ინტერნეტი და სილქ ტვ) მომსახურების გაუქმება, გამოიწვევს აქციის გაუქმებას;
10. აქციის მოქმედების პერიოდში არ არის შეზღუდული სატარიფო გეგმის ცვლილება. სატარიფო გეგმის ცვლილებისას, აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და პაკეტის ცვლილების შემდეგ, ხელშეორედ აქციით გათვალისწინებული პაკეტის არჩევისას, მოხდება აქციის განახლება თავდაპირველი ვადის ფარგლებში (შესაბამისი ვადისთვის განკუთვნილი ტარიფებით);
11. აქციაში ჩართულ აბონენტს ძველ მისამართზე გააქტიურებული აქცია ახალ მისამართზე არ გადაყვება;

12. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირდება შესაბამის შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით. აქციის პირობებით სარგებლობისთვის, მომსახურებ(ებ)ის ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-3. პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში;

13. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებისას/რეინსტალაციისას, მე-2 პუნქტით განსაზღვრული პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დარეგისტრირდება შესაბამის შეთავაზებაზე, აღნიშნული მომსახურება დარეგისტრირდება აქციის პირობებით. აქციის პირობებით სარგებლობისთვის, მომსახურებ(ებ)ის ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-3 პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში;

14. აქცია არ არის თავსებადი შემდეგ აქციებთან: აქცია "სილქ +", აქცია "სილქ+ 2", აქცია "კომბო", "რეგიონების აქცია", აქცია "რეგიონებში სტარტ + და კომფორტი სპეციალურ ფასად".

სატარიფო გეგმა (ცხრილი N1)

მომსახურების ტარიფები	
მომსახურების დასახელება /პაკეტი/ვადა	აქციით განსაზღვრული ტარიფი
აქციაში მონაწილე ყველა რეგიონისთვის	
"სტარტ +" (აქციაში ჩართვიდან პირველი 3 თვე)	18 ლარი
"სტარტ +" (აქციაში ჩართვიდან 3 თვის შემდეგ - აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვამდე)	25 ლარი
აქციაში მონაწილე ყველა რეგიონისთვის გარდა ზესტაფონი, რუსთავი, გორი და ქუთაისისა.	
"სტარტ +" და "კომფორტი NEW" (აქციაში ჩართვიდან პირველი 3 თვე)	22 ლარი
"სტარტ +" და "კომფორტი NEW" (აქციაში ჩართვიდან 3 თვის შემდეგ - აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვამდე)	32 ლარი
ზესტაფონი, რუსთავი, გორი და ქუთაისისთვის	
"სტარტ +" და "კომფორტი NEW" (აქციაში ჩართვიდან პირველი 3 თვე)	22 ლარი
"სტარტ +" და "კომფორტი NEW" (აქციაში ჩართვიდან 3 თვის შემდეგ - აქციის მოქმედების პერიოდის ამოწურვამდე)	30 ლარი

ცხრილი N2

ქალაქების/სოფლების ჩამონათვალი
ჩამოთვლილ რეგიონებში აქციის პირობები ვრცელდება 2021 წლის 22 მარტიდან
გურჯაანი
საგარეჯო
ახმეტა
მარნეული

გარდაბანი
ბოლნისი
მცხეთა
კასპი
დუშეთი
ქარელი
წყალტუბო
საჩხერე
სამტრედია
სენაკი
ნინოწმინდა
ახალქალაქი

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____